SOS ბავშვთა სოფელი

მადლობა, რომ გახდით კარგი ამბების შემოქმედი!



საქველმოქმედო კამპანიის დაწყებიდან დღემდე, უკვე **2000-ზე მეტი დონორი** შემოგვიერთდა.

ჩვენთვის ყოველი ახალი დღე ახალი თავგადასავალია, სავსე კეთილი საქმეებით და მნიშვნელოვანი მიღწევებით.



გვსურს, მოკლედ გიამბოთ იმ კარგი ამბების შესახებ, რაც ბოლო 3 თვის განმავლობაში დაგვიგროვდა:

- 812-მა ბავშვმა და მზრუნველმა ისარგებლა **ფსიქოლოგის მომსახურებით.**
- 569 ბავშვი და ახალგაზრდა **ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში.**
- 124 ბენეფიციარი **ჩაერთო პროფესიულ სწავლებაში**, 93-მა კურსი წარმატებით დაასრულა.
- 72-მა ბენეფიციარმა **ისარგებლა სამედიცინო მომსახურებით ჩვენი თანა/სრული დაფინანსებით.**
- 47 ბენეფიციარისთვის **შევიძინეთ დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო ინვენტარი:**
  1. სამკერვალო, ვიზაჟისა და სტილისტის ინვენტარი;
  2. მასაჟისა და ფრჩხილის მოვლის აპარატურა;
  3. საკონდიტრო საქმიანობისთვის საჭირო ნივთები;
  4. ხის დეტალების დამამზადებელი დანადგარი;
- 3 ოჯახს გადავეცით ნოუთბუქი ყურსასმენითა და მაუსით;




ჩვენ გვჯერა, რომ ბავშვის განვითარებისთვის თამაში, სპორტი და ერთად გატარებული დრო ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სწავლა.

ამიტომ, ბავშვებთან და მშობლებთან ერთად **შევქმენით** დაუვიწყარი მოგონებები

ზოგჯერ ერთი სპორტული დღე საკმარისია, რომ ბავშვმა თავი გუნდის ნაწილად იგრძნოს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხუთ საჯარო სკოლაში გაიმართა სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“ — რამდენიმე სკოლაში სწორედ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. სტარტზე მოსწავლეებთან ერთად კლასის დამრიგებლებიც გავიდნენ, ზოგან კი მშობლებიც შემოუერთდნენ. ჯამში 252-მა მონაწილემ გაიარა დისტანცია.

ქუთაისში მამებმა და შვილებმა ბოულინგში გაატარეს დღე. „მე და მამამ ძალიან კარგი დრო გავატარეთ“ — გვითხრა ერთ-ერთმა ბავშვმა. თბილისში მამები შვილებთან ერთად ციფრულ მუზეუმს ესტუმრნენ, ზაფხულში კი **20 ბავშვი საზაფხულო სკოლაში ჩაერთო**.



ნამდვილი ამბავი

ოთხშვილიანი ოჯახის გზა დამოუკიდებლობამდე

ოჯახი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა — დედა, მამა და ოთხი შვილი, რომელთაგან უმცროსი ერთი წლის იყო. სტაბილური შემოსავალი არ ჰქონდათ: დედა დიასახლისი იყო, მამა კი დროდადრო სამშენებლო სამუშაოებზე მუშაობდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ბავშვების საძილე პირობები.

პროექტში ჩართვის შემდეგ მამას სამუშაო იარაღები გადაეცა, რამაც მეტი შეკვეთის აღების საშუალება მისცა. დედამ სტილისტის პროფესიული კურსი გაიარა და სილამაზის სალონში დასაქმდა. ერთი წლის პატარა დღის ცენტრის მომსახურებაში ჩაერთო — ასე გაჩნდა დედას სამსახურში წასვლის შესაძლებლობაც.

ოჯახს საყოფაცხოვრებო ავეჯიც გადაეცა და **ბავშვების საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა**. დღეს ორივე მშობელს აქვს შემოსავალი და ოჯახი თანდათან **დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადავიდა**.

თქვენი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ

ქველმოქმედების ძალა ერთობაშია!



დაგვიკავშირდით
+995 598152127

მოგვწერეთ
SOSFRIENDS@SOS-KD.GE

გვესტუმრეთ
ალ. ყაზბეგის გამზირი 53;

ჩვენ უკვე WHATSAPP-ზეც ვართ — შემოუერთდით SOS ბავშვთა სოფლის არხს და მიიღეთ სიახლეები ჩვენი საქმიანობისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ.

@ 2025 SOS ბავშვთა სოფელი საქართველო. ყველა უფლება დაცულია.